



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
TERRITORIAL ENTITY OF THE MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA
ქალაქ სენაკის საბანამანათლებლო რესურსცენტრი
SENAKI DISTRICT EDUCATIONAL RESOURCE CENTER



MES 4 18 01581119

10/12/2018

**სსიპ-საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავჯდომარეს ბ-ნ ნიკა ახალბედაშვილს**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2018 წლის ანგარიშს:

ა) რესურსცენტრში სულ შემოვიდა 37 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა. რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 37 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) რესურსცენტრის საჯარო მონაცემთა ბაზა წარმოადგენს შემდეგს:

- გ.ა) საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა მონაცემები;
- გ.ბ) საჯარო სკოლებში არსებული სამეურვეო საბჭოს წევრთა სია;
- გ.გ) ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულთა მონაცემები;
- გ.დ) საჯარო და კერძო სკოლების სტატისტიკური მონაცემები;
- გ.დ) საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულების მონაცემები.

დ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე შემოვიდა 8 მოთხოვნა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

ე) 2018 წლის საანგარიშო პერიოდში სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა.

ვ) რესურსცენტრის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ რესურსცენტრის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. რესურსცენტრის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. აქედან გამომდინარე არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

ამასთან რესურსცენტრის 2018 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის სახით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	37 (ოცდაჩვიდმეტი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	37 (ოცდაჩვიდმეტი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	8 (რვა)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი / ქალაქ სენაკის საგანმანათლებლო
რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
დარეჯან ზარანდია

დ. ზარანდია